სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

ირაკლი ვერულაშვილი პ/ნ 01026008204
მის: ქ. თბილისი, ზაზა ფანასკერტელ -
ციციშვილის ქ. N 20, ბინა N 12

განცხადება

გაცნობებთ, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა ,,მთაწმინდა რეზიდენსის" (ს/ნ 205333469) სახელით ქ. თბილისში, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქ. N 26-ში (ს/კ N 01.15.05.004.092) მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა **არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება N AR1591505 - ის საფუძველზე** (იხ. დანართი 1).

გაცნობებთ, რომ მე, ირაკლი ვერულაშვილი (პ/ნ 01026008204) ვარ ზ/აღნიშნულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის **მე-2 ბლოკში, მე-2 სართულზე, +3.30 ნიშნულზე** მდებარე **68.42 კვ.მ. ბინა N 5-ის** (ს/კ N 01.15.05.004.092.02.005) მესაკუთრე (იხ. დანართი 2). ამ ბინაზე საჯარო რეესტრში ჩემი საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოხდა **არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება N AR1591505 - ით შეთანხმებული არქიტექტორული პროექტის მიხედვით** (იხ. დანართი 3).

ასევე, ზ/აღნიშნული ბინის გამყიდველმა, სამშენებლო კომპანია შპს ,,მკ დეველოპმენტმა" (ს/ნ 205049712), რომელიც უშუალოდ ახორციელებს სამშენებლო სამუშაოებს, **2020 წლის 13 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების 4.2. პუქტის მიხედვით** ჩემ წინაშე აიღო ვალდებულება, რომ **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 1-ლი ბლოკის სახურავი არ უნდა აცდეს მე-2 ბლოკში მდებარე ნასყიდობის საგნის +3.30 ნიშნულს. ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე 1-ლი ბლოკის სახურავი არ უნდა ეფარებოდეს ნასყიდობის საგანს** (იხ. დანართი 4).

2022 წლის 22 ივნისს ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ არქიტექტურის სამსახურში **2022 წლის 20 ივნისს** შემოსული **განცხადებით N AR1907521** მოთხოვნილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული პროექტის ცვლილება (პროექტის კორექტირება). ამ ცვლილების (კორექტირების) პროექტის მიხედვით, **1-ლ ბლოკს ემატება 1 (ერთი) სართული და დამატებით მიიღება 209.10 კვ.მ. ფართი** (იხ. დანართი 5)

ვინაიდან საჯარო რეესტრში ჩემ სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ **ბინას N 5-ს (მდებარე +3.30 ნიშნულზე)** შეთანხმებული პროექტის ცვლილებით (კორექტირებით) ეფარება **1-ლ ბლოკში დამატებული 1 (ერთი) სართული** და ამასთან, შეთანხმებული პროექტის ცვლილება (კორექტირება) პირდაპირ ეწინააღმდეგება სამშენებლო კომპანია - შპს ,,მკ დეველოპმენტის'' (ს/ნ 205049712) მიერ ჩემ წინაშე ნასყიდობის ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას, მოგმართავთ წინამდებარე განცხადებით შემდეგზე:

(1) მე, ირაკლი ვერულაშვილი (პ/ნ 01026008204), როგორც +3.30 ნიშნულზე მდებარე ბინა N 5 - ის მესაკუთრე, არ ვარ თანახმა მოხდეს შეთანხმებული პროექტის ცვლილება (კორექტირება), ვინაიდან შეთანხმებული პროექტის ცვლილებით (კორექტირებით) არსებითად ირღვევა ჩემი, როგორც მესაკუთრის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები;

(2) მე, ირაკლი ვერულაშვილი (პ/ნ 01026008204), როგორც +3.30 ნიშნულზე მდებარე ბინა N 5 - ის მესაკუთრე, მოვითხოვ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების საფუძველზე ჩამრთოთ დაინტერესებულ პირად ადმინისტრაციულ წარმოებაში და არ მიიღოთ გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩემი მონაწილეობისა და საკუთარი მოსაზრებების წარდგენის გარეშე.

ირაკლი ვერულაშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 4220846

გაცემის თარიღი: 17/10/2018

გაცნობის თარიღი: 18/10/2018

განცხადების ნომერი: AR1591505
შემოსვლის თარიღი: 10/04/2018
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.15.05.004.092
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 28 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზალდასტანიშვილი (ყოფ. ფერხული და ყოფ. ლიბკნეხტი), N 26 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 მიმდებარედ
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 2009.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ე.ს. ამხანაგობა "მთაწმინდა რეზიდენსი" (205333469)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **III კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- სტადიები:
  - **პროექტის შეთანხმება**
  - **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ლევან ჯამაგიძე პ/ნ 01025015719
- მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი 2 ზონა კორ 2 ბ. 48

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3721935
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 12.12.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ჯამაგიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ე.ს. ამხანაგობა "მთაწმინდა რეზიდენსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205333469
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიხეილ კუჭავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010008127

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2009.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1294.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5108.76
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3166.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 904.15
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 368.18
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 58.5
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 611.13
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 15052.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7822.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 7230.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 36.45
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 20.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 15.55
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1083,92/1991.1=0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3072.57/1991.1=1.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 678.55/1991.1=0.3

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის N 892018425371, სკ N 01.15.05.004.092)

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, სხდომის ოქმი N31; 02.08.2018წ.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ბრძანება

1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, 8მარტის ქ.N38; 8მარტის ქ.N28; ზალდასტანიშვილის (ყოფ. ფერხული და ყოფ. ლიბკნეხტი) ქ. N26; 8 მარტის ქ.N38-ის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.15.05.004.092), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს სანებართვო მოწმობა.

3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 18 ოქტომბრიდან 2020 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით;

4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, მათ შორის:

4.1. სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

4.2. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის № 57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;

4.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 61-ე მუხლის და „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007 წლის №62 დადგენილებით) მოთხოვნათა შესაბამისად;

4.4. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან.

4.5. მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.

4.6 მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

მიწის (ეკრანი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.15.05.004.092.02.005

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020240886 - 13/05/2020 13:59:17

მომზადების თარიღი
13/05/2020 15:25:43

საკუთრების განყოფილება

ზონა თბილისი	სექტორი მიაწვდება	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
01	15	05	004/092	02/005

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 28 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზალდასტანიშვილი (ყოფ. ფერხული და ყოფ. ლიბკნეხტი), N 26 : ქალაქი თბილისი , ქუჩა 8 მარტი , N 38 მიმდებარედ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:2009.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.15.05.004.042; 01.15.05.004.091; 01.15.05.004.086; 01.15.05.004.022; 01.15.05.004.085;
შენობა-ნაგებობები: შენობა N1 (მშენებარე) და შენობა N2 (მშენებარე) , საერთო ფართით 5108.76 კვ.მ.

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020240886 , თარიღი 13/05/2020 13:59:17
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/05/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება (უძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ) , დამოწმების თარიღი:13/05/2020 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ირაკლი ვერულაშვილი ,P/N: 01026008204

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
ირაკლი ვერულაშვილი	საკუთრება	ფართი(მშენებარე)	სართული2,ბინა N5,II ბლოკი,	68.42 კვ.მ.	

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: 102020131690 10/04/2020 12:59:33
  ირაკლი ვერულაშვილი ს/ნ 777777779 პ/ნ 01026008204
  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება
  საფუძველი: შეტყობინება, N00612721, 10.04.2020, შემოსავლების სამსახური

იპოთეკა
ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge


+3.30
9.00 m²
ბ. N-15
98.28 m²
+3.30
171.14 m²
ბ. N-16
+3.30
9.89 m²
10.61 m²
+3.30
9.00 m²
ბ. N-15
98.28 m²
9.89 m²
10.61 m²
171.14 m²
ბ. N-16

ხელშეკრულება

უძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. შპს "მკ დეველოპმენტი" ს/ნ 205049712 (შემდგომში - გამყიდველი)
დირექტორი - მიხეილ კუჭავა პ/ნ 01010008127;

1.2. ირაკლი ვერულაშვილი პ/ნ 01026008204 (შემდგომში - მყიდველი);

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ამ ხელშეკრულებით გამყიდველმა გაყიდა და საკუთრების უფლება გადასცა მყიდველს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში (მის: ქ. თბილისი 8 მარტის ქ. N 38 / 8 მარტის ქ. N 28 / ზალდასტანიშვილის ქ. N 26 / 8 მარტის ქ. N 38-ის მიმდებარედ) მდებარე შემდეგ მშენებარე უძრავ ნივთზე:

- **ბინა N 5, 68.42 კვ.მ., ბლოკი II, სართული 2, ს/კ N 01.15.05.004.092.02.005;**

3. ფინანსური ნაწილი

3.1. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა ჯამში **50000 (ორმოცდაათი ათასი)** აშშ დოლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით). თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს **20/05/2020** წლამდე, გადახდის დროისთვის ეროვნული ბანკის მიერ ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლის ოფიციალური კურსით საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები ნებისმიერი ფორმით.

4. ნასყიდობის საგნის გადაცემა

4.1. ნასყიდობის საგნის ფაქტობრივი გადაცემა უნდა მოხდეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს **20 (ოცი)** თვის განმავლობაში. ფაქტობრივად გადაცემის დროისთვის ნასყიდობის საგანი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. „შავი კარკასის" პირობებს.

4.2. მხარეთა შეთანხმებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 1-ლი ბლოკის სახურავი არ უნდა აცდეს მე-2 ბლოკში მდებარე ნასყიდობის საგნის +3.30 ნიშნულს. ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე 1-ლი ბლოკის სახურავი არ უნდა ეფარებოდეს ნასყიდობის საგანს.

5. განცხადებები და გარანტიები

5.1. გამყიდველი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ ის წარმოადგენს ერთადერთ მესაკუთრეს და გააჩნია სრული უფლებამოსილება მართოს და განკარგოს ნასყიდობის საგანი. გამყიდველის საკუთრების უფლება ნასყიდობის საგანზე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. ნასყიდობის საგანი არის უფლებრივი ნაკლისგან თავისუფალ მდგომარეობაში. არ არის იპოთეკით დატვირთული, მესამე პირისთვის/პირებისთვის იჯარით ან/და ქირავნობით გადაცემული და რაიმე სხვა უფლებით ან/და ვალდებულებით დატვირთული.

5.2. ეს ხელშეკრულება შედგენილია მხარეთა მიერ ერთობლივად გამოვლენილი ნების საფუძველზე. ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი გაეცნენ ამ ხელშეკრულებას, მისაღებია პირობები და არ არსებობს წინააღმდეგობა გარეგნულად გამოვლენილ ნებასა და შინაგან ნებას შორის.

6. დავების გადაწყვეტა

6.1. მხარეთა შორის, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო (შეთანხმება განსჯადობაზე). პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება უნდა მიექცეს/მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

დასკვნითი დებულებები

7.1. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებასა და ხელმოწერის დროისთვის ხელშეკრულებაში არ არსებობს ტექსტის რაიმე სახით გადაკეთება ან/და შესწორება.

7.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და ძალაშია მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.

გამყიდველი	მყიდველი
შპს "მკ დეველოპმენტი" დირექტორი - მიხეილ კუჭავა	ირაკლი ვერულაშვილი
მიხეილ კუჭავა	ირაკლი ვერულაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №400
თარიღი "13" ივნისი 2020 წ.
გვ.რაოდენობა 2 (ორი) ხელმოწერა

...იციის სამინისტრო
...ეროვნული სააგენტო
... №400
... 201 წ.
...მოწერა ...

